ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 30

22 აგვისტო 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა.

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს და გააცნო დღის წესრიგი.

1. *საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: (№11-01182331459 21.08.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებში/ქვეპროგრამებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“.*

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურებისთვის მიკუთვნებულ პროგრამებას/ქვეპროგრამებში ასიგნებების გადანაწილებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ქ. თბილისში, მთაწმინდის პარკში არსებული ატრაქციონ გიგანტურ ბორბალზე განათების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით ითხოვს „გარე განათების ქსელის ექსლოატაცია და რეაბილიტაცია" (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებების ზრდას 1 600,0 ათასი ლარით, საიდანაც 1 მლნ. ლარი აკუმულირდება „საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა რეკონსტრუქციის" (კოდი 02 01) პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის თანხიდან, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია ორი წლის განმავლობაში. ხოლო დანაჩენი საპროექტო კვლევითი სამუშაოებისას დაზოგილი თანხებია. ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ითხოვს „მეტრო სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობის" (კოდი 01 02 03) ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირებას 3 000,0 ათასი ლარით და „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის" (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ზრდას ამავე ოდენობით. აღნიშნული გადანაწილება დაკავშირებულია „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის" (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ფარგლებში მეტროს ვაგონების მოდერნიზაციის მომსახურებისა და ესკალატორის ნაწილების, სალინდაგო ზედანაშენის და DATA ცენტრის შესყიდვის ავანსის გადახდის უზრუნველსაყოფად.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების უმრავლესობამ თანხმობა მისცეს წარმოდგენილ გადანაწილებებს.

მომხრე-7, ირაკლი ნადირაძემ წარმოდგენილ საკითხს მხარი არ დაუჭირა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებში/ქვეპროგრამებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურები ითხოვენ, მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებებს, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის

დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა